№ 221 24 ოკტომბერი, კვირა. 1866 — 1882 24 ოკტომბერი, კვირა. № 221.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თბილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერასიმეს) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ხელის-მომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

**„დროების" ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| სრულის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . | 5 მან. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |

**ფასი განცხადებისა**

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., ნეკროლოგების ასოთი სტრიქონზე 8 კაპ.

თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური

ჩვენგან დამოუკიდებელის მიზეზისა გამო დღევანდელი ნომრისათვის დანიშნული ფელეტონი და წინა-სტატია ისე არ იბეჭდება, როგორც უნდა დაბეჭდილიყო.

---

თ. ალექსანდრე ივანეს-ძე ჯამბაკურიან-ორბელიანი გულითადის მწუხარებით აუწყებს თავის დედი-დის ელენე ალექსანდრეს ასულის პაპოვის გარდაცვალებას სიმფეროპოლში 21 ოქტომბერს, უმორჩილესად სთხოვს თავის ნათესავებსა და ნაცნობებს, მობრძანდნენ მიცვალებულის პანაშვიდზე, რომელიც იქნება ქაშვეთის (წმ. გიორგის) ეკლესიაზე, დღეს 24 ოქტომბერს, ნაშუადღევის პირველ საათზე.

---

**არწრუნის თეატრი**

**დღეს, 24 ოკტომბერს**

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

**I**

**ორღანი და ლეკვი**

კომედია-ხუმრობა 4 მოქმედ. ფრანც. გადმოკ. თ. დ. ერისთავისაგან.

**II**

**ლეკური**

დასაწყისი 8 საათზედ.

---

## ტელეგრამმა

(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი")

**პეტერბურღი, 22 ოქტომბერს.** რკინის გზების საზოგადოებათა წარმომადგენლების კრებამ, რომელსაც ბარანცოვის კანონ-პროექტის თაობაზედ აქვს სჯა, ამ ახალი კანონების გასასინჯავად ამოირჩია კომისია, რომელშიაც შემდეგი პირები არიან: დერვიზ, ადადუროვი, სუსლოვი, პოლოვცევი, ვიშნეგრადსკი, გერნგროსი და ვალიხოვი.

„ნოვოე ვრემიაში" იწერებიან: დამოყნის უწყებაში სადამოყნო მაზრის უფროსების რიცხვი შემცირდება; დამოყნის რევიზორები იქნებიან დანიშნულნი.

გადაწყდა, რომ შავს ზღვაზე ხომალდების გასაკეთებელი ნავთსადგურები უნდა გამართონ.

კომისია, რომელიც ფინანსიურ დაწესებულებათა გადასასინჯავად არის დანიშნული, ჰფიქრობს, რომ ხარჯის აკრების საქმე პოლიციას ჩამოართვა.

„თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოების" თავმჯდომარედ კ. დ. კაველინი ამოარჩიეს.

პოლიციის მეცადინეობამ, რომ გაქცეული პრიოროვი დაიჭირეს, უნაყოფოდ ჩაიარა. როგორც ჰფიქრობენ, ის ამერიკაში უნდა გაქცეულიყოს.

**პრესბურგი, 22 ოქტომბერს.** ხელახლად მოხდა აქ ხალხის არეულობა ურიების წინააღმდეგ.

---

## ჩვენ არ გვინდა სწავლაა!?

ერთს ჩინებულ და ყოველ გვარად შემკულს ოჯახში შევიდა თურმე ძნელად ერთი ანჩხლი და გაუტანელი დედა-კაცი; მას დახვდა ოჯახში რამოდენიმე გერი; როდესაც ეს გერები დედის-ნაცვალს მოსთხოვდენ საჭმელს პურის მაგიერ ნაცარ-ტუტისაგან შემზადებულს ქვას აძლევდა თურმე ხელში. როდესაც ამ გვარი სანოვაგე არ მიიღეს გერებმა და დასუსტდენ ნამეტანის კუჭის დაცარიელებით, დაიწყეს ხმა-მაღლად ტირილ-ყვირილი და ეს ამბავი საყოველთაო შეიქნა, მაშინ დედის-ნაცვალმა თავის გასამართლებელ საბუთად მოიყვანა შემდეგი: ჩემი გერები უხასიათო ველური რამ არიანო, მაგათ კარგად შეზავებული საჭმელი როდი უნდათ, მადა არა აქვთ მისიო, თორემ მე არაფერს ვაკლებ მაგათ და სხვა! ჰფიქრობდა, ეს საბუთი საკმაო იყო მის გასამართლებლად მეზობლების თვალში; მაგრამ ახლო მეზობელმა კი არა ბევრმა შორებელმაც კი იცოდა რაშიაც იყო საქმე და ვინ იყო მათ შორის მტყუანი.

სწორედ ეს ახირებული არაკი მომაგონა პატივცემულ გაზეთს „კავკაზში" დაბეჭდილმა ბატ. არლოვის შენიშვნამ ჩვენი ხალხის სწავლა-განათლებისადმი ლტოლვილების შესახებ.

რომ ჩვენი სახალხო სკოლები ვერ ასრულებენ თავიანთ პირ-და-პირ მოვალეობას, ვერ მოჰფინეს ხალხში მცირეოდენიც სწავლა-განათლება, ვერ დაუმეგობრდენ ერს და ვერ მიაღწიეს თავის უმთავრეს მიზანს,—ყველა ამას აბრალებს პატივცემული ავტორი იმ გარემოებას, ვითომც ჩვენს ხალხს არ უნდა ჰქონდეს ინტერესი სწავლის მიღებისა, არ ესმოდეს მისი ღირსება და საჭიროება ცხოვრებაში, ვითომც ის კიდევ არ იყოს ჯერ გამოსული ველური ხალხის მდგომარეობიდამ და ამ მიზეზით განზედ უდგეს სასწავლებლებს.

იქ, სადაც ამაზედ უფრო ჭეშმარიტი თავის გასამართლებელი საბუთი არ იშოვება, სადაც ნამდვილი მიზეზების და საბუთების გამოჩენა და გამოთქმა არაფრად ეჭაშნიკებათ, სადაც თავის შეცდომილების ანუ დანაშაულობის სხვა მართალი პირების კისერზედ შემოხვევას არიან დაჩვეულნი, იქ, რასაკვირველია, ამ გვარ საბუთებს თავისი გააქვთ; მაგრამ ნათქვამია, ხერხი რაც უნდა მჭრელი იყოს, ყოველგან ერთად ვერ გასჭრისო.

ყველაფერი შეიძლება შესწამოს კაცმა საქართველოს ერს და იმის შეწამება კი სწორედ უადგილო ცილისწამებაა, რომ იმას სწავლა-განათლება არ უნდოდეს და მის მიღების მეცადინეობაში უკანასკნელს თავის ლუკმა-პურს ზოგავდეს. მთელი საქართველო რომ კუთხითი-კუთხედ შემოიაროთ, ყველგან ერთნაირ აღტაცებულ, განუსაზღვრელ სურვილს სწავლა-განათლებისას დაინახავთ ხალხში. ყველას სასწავლებლებისკენ უჭირავს თვალი; მშობლები, რომელთაც სხვა საშუალება აღარ დარჩენიათ, კმაყოფილებით იცლიან ხელიდამ უკანასკნელს საზრდოს მომცემ მიწა-წყალს, ოღონდ კი თავიანთ შვილებს ასწავლონ რამე. ეს ჩვენში ყველამ იცის.

ამის დამამტკიცებელი ფაქტები ისე

---

(„დროების" ფელეტონი, 23 ოკტ.

### ჩემი შეკრებილი სიზმრები

მკვეყანა წახედულობით არისო, ნათქვამია.

ვავიხედე და, ვინ ხალხურ ლექსებს აგროვებს, ვინ ანდაზებს, ვინ გამოცანებს და ვინ ზღაპრებს. მეც ავდექი და სიზმრები შევაგროვე!

ვავაგდე კადახა, რომ, ვინც რა სიზმარი ნახოთ, დაწერეთ და გამომიგზავნეთ-მეთქი; ამით მეც დიდად დამავალებთ და მთელს კაცობრიობასაც დიდ სამსახურს გაუწევთ-მეთქი!

ახლა დღე ერთია, და ასი სიზმარი მომდის! კითხვას ველარ ავსვლივარ... მაგრამ მაგიერად თავის გამართობელი კი ყოფილა სიზმრების კითხვა, რაზედაც თქვენც დამეთანხმებით, მკითხველო, თუ ქვევითაც წაიკითხავთ.

ზევით უნდა მეთქვა, მაგრამ სულ ერთია, აქ ვიტყვი: არ დაგავიწყდესთ, რომ მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო.

#### სიზმარი პირველი

რომელიც უნახავს ერთს ჩვენებურს ახალგაზრდას ქ. პეტერბურღში

„მეზმანა, იწერება ის, რომ ჩვენი ახალგაზრდობა სრულიად უფერულს, უსახოს, უხასიათო გროვას წარმოადგენდა. არ ეტყობოდა მას ახალ-გაზრდობა, არც მოხუცებულობა, არც სიცოცხლე, არც სიკვდილი... არც იყო გატაცებით მოყვარე თავის მამულისა, არც კოსმოპოლიტი, არც „ჰო", არც „არა"...

„ერთი სიტყვით, იგი იყო ყოველიფერი და არაფერი!

„წარმომიდგა თვალ-წინ ის გამოურკვეველობა, ბურუსი, წყვდიადი, რომელიც ჰფარავდა ქვეყნიერებას უწინარეს ნათელის შექმნისა... ზამოგესახა გონებაში ის უსახო მატერია, რომელიც შეიცავდა ყოველივეს და წარმოადგენდა არა-რას, სანამ ყოვლად ძლიერებამ არ გაჰყო ბნელი ნათელისაგან და არ მიანიჭა სახე თვით უსახოებას... ტანში ჟრუანტელმა დამიარა და კანკალი დამაწყებია...

„ზულის გასამაგრებლად სარკეში ჩავიხედე, რომ გამეგო, რა მემართებოდა, რომ სახეზე წამეკითხა ჩემი შინაგანი მდგომარეობა... მაგრამ თქვენმა მტერმა ნახოს, მე სანახავი ვნახე!! თითონ ჩემი თავი ველარ ვიცანი! სრულიად ველარ წარმოვიდგინე—ვინ ვიყავი, რა ვიყავი... შკუვაგდე სარკე და დავხუჭე თვალები, რომ გონების თვალით მაინც დამენახა ჩემი თავი; მაგრა არ იქნა, არა და არა!

„მაშინ კი ვიკადრე ექიმთან გაქცევა... მივრბივარ... მაგრამ, რადგან ფეხს აღარ ვაკარებ მიწაზე, უკეთესია ვთქვა მივფრინავ-მეთქი... ძალ მივქროლავ ექიმთან. აგერ სელოს-სკამიდგას... ძავჯექი... მოვიხედ-მოვიხედ—ჩემს გარშემო ასიოდე კაცი ზის, თითოეული რაღაც წიგნს კითხულობს. ააა! ეს სათემო ბიბლიოთეკაა. მეც ავიღე რაღაცა და ვკითხულობ გამალებული, მაგრამ რას, არ ვიცი. რაღა შეკითხება, გულზე ალმული მედება!

„ექიმს უნდა ვეძებდე და აქ რა მინდა-მეთქი, ვფიქრობ. თან ამას ვფიქრობ და თან ვკითხულობ და ვკითხულობ, ისე ჩქარა, რომ მარტო სიზმარში თუ შეიძლება ისე ჩქარა კითხვა, და არა ცხადში. ზაგებით კი ვერასა ვგებულობ, მარტო ერთი ეს გავიგე:

„ამის წაკითხვის შემდეგ კიდევ გან-

უანგარიშოა ყოველი ეგზამენიების დროს, ისე ახსნილია ამის სინამდვილე, რომ მისი ხელ-ახლა ჩამოთვლა ერთობ მეტად მიგვაჩნია. ხოლო რაიცა შეეხება იმას, რომ ეს სამაგალითოდ სურვილი ჩვენი ერისა ვერ არის შესაბამად დაჯილდოებული, არ არის აღყვავებულ და ნაყოფიერ მდგომარეობაში ჩვენში საერო განათლება— ეგ მოგეხსენებათ ერის ბრალი არ არის, მადა და მისი დაკმაყოფილება, როგორც მოგეხსენებათ, ერთი და იგივე როდია; მადა და სურვილი ამ საინტერესო საგნის შესახებ ქართველ ხალხს არ აკლია, მაგრამ მისი დაკმაყოფილება კი მის ხელში არ არის.

მაღალ წოდებას, რომელსაც, რასაკვირველია, უფრო უნდა ესმოდეს სწავლის საჭიროება, თუ გინდ თავი დავანებოთ; მდაბალი ხალხი, გლეხკაცობა, ისე ყმობითის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას არ შეგებებია აღტაცებულის მხიარულებით, როგორც სკოლების დაარსებას; ის არ ზოგავდა არავითარ ღონისძიებას თავის ღარიბი ოჯახიდამ მის დასაარსებლად და შესაწევნელად, სხვა ათას გვარ გარდასახადებით დატვირთული, კმაყოფილებით ჰკისრულობდა და ჰკისრულობს დღესაც სკოლისა და მასწავლებელის შენახვას; ის აცილებს თავის შვილებს თავის დაარსებიდამ წილად ხდომილს ხელობას—მიწის მუშაკობას, ის ართმევს თავის შვილს ხელიდამ თოხს და მის მაგიერ აძლევს წიგნსა და კალამსა და შეჰყავს სკოლაში; ის ითმენს ყოველგვარ გაჭირვებას და ნაკლულოვანებას, ოღონდ კი თავის შვილს ასწავლოს რაიმე.

რას ნიშნავს ამ გვარი მოქმედება ჩვენი ხალხისა, თუ არ დიდ სურვილს სწავლა-განათლებისას?

თ. ქაიხოსრო გელოვანი.

## დღიური

ფოთი-ტფილისის რკინის გზიდამ გვწერენ. რომ ბექათუმნის ტონნელის მახლობლად (სურამის ქედზე) ღამით მიმავალ მატარებლის ერთს ვაგონს ცეცხლი გასჩენია, რომელიც იმ წამსვე ერთს კონდუქტორს შეუნიშნავს, საჩქაროდ სხვებისთვის უცნობებია და მატარებელი გაუჩერებიათ. კონდუქტორებს იმდენი სიმარჯვე აღმოუჩენიათ, რომ ეს ვაგონი მოუშორებიათ და ამ ნაირად სხვა ვაგონები გადაურჩენიათ ცეცხლისაგან; მაგრამ თვითონ ეს ვაგონი და იმაში ჩაწყობილი 10,000 მანეთის საქონელი კი სულ დამწვარა.

* * *

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინად გამოცხადებული, რომ ღენ. კუზმინსკის ვილაცაებისაგან რამდენიმე ხელ-მოუწერელი წიგნი მოუვიდა, რომელშიაც სწერდნენ, თუ ან ამა-და-ამდენი ფული დადევით ამა-და-ამ ალაგას, ან დასიცოცხლეს გამოეთხოვეო. ამ წიგნებზე ხელ-მოწერილი იყო „მოჩიალისტ." ღენ. კუზმინსკიმ ამათი წინადადება არ შეასრულა და წიგნები პოლიციას წარუდგინა.

ამ გვარივე წიგნები, როგორც „იურიდიულ მიმოხილვაში" იწერებიან, ამ დღეებში დოქტორს მალინინსაც მისვლია. მაგრამ იმასაც უყურადღებოდ დაუგდია.

* * *

რაჭა და განსაკუთრებით ლეჩხუმი თავის სიმდიდრით არასოდეს არ ყოფილან განთქმულნი; მაგრამ ამ უკანასკნელ წლების მოუსავლობამ, როგორც ეტყობა, მოთმინებიდამ გამოიყვანა ხალხი და მარტო ამით აიხსნება ის ამბავი, რომელსაც გაზ. „შრომა" გვატყობინებს: ამ ორის მაზრიდამ ხალხი იბარგება ცოლ-შვილით და შავ ზღვის ნაპირად მიდიან დასასახლებლადაო. ამ თვის 15 და 16 რაჭიდამ და ლეჩხუმიდამ სამოციოდე ოჯახი ჩამოვიდა ქუთაისშიო, რომელნიც სოჩისაკენ მიემგზავრებოდნენო. თამამად და მხიარულად მიდიოდნენ ახალს ადგილებზე დასასახლებელად, თუმცა ბევრი მამა-კაცები და ბავშები ფეხ-შიშველები იყვნენო.

* * *

ამავე გაზეთში ვკითხულობთ:

„ქუთაისის მცხოვრებლებისათვის საყურადღებოდ უნდა გამოვაცხადოთ, რომ, როგორც ჩვენ შევიტყვეთ, ქალაქის რჩევის ხმოვნებს, ვინც კი მათგანი სხვებზე უმდიდრესი არიან და სხვებზე უფრო მეტსაც ჰყვირიან ქალაქის ინტერესებზედ, ჰმართებიათ ამ ჟამად დროზედ შეუტანელი საქალაქო გარდასახადი ორი ათას მანეთზე მეტი.

„მოდი და ამას იქით სამართლიანად მიიჩნიეთ ის საყვედურები, რომელსაც ეს ვაჟ-ბატონები უძლვნიან ქალაქის გამგეობას,—ფულები იხარჯება და არაფერი კი არ კეთდება ქალაქშიო!"

* * *

ქალაქში ცირკის ვერითდ აქ ჟამად ერთი 12 წლის ქალს აჩვენებენ, რომელიც იწონის 11 ფუთს და 38 გირვანქას. ყოველ დღეს მრავალი მაყურებელი დადის იმის სანახავად, რადგანაც მართლა გასაკვირველია იმის სისრულე. ის იქამდინ დასქელებულა და გასუქებულა, რომ სკამზედაც ძლივს-ღა იჭერს თავს და მთელი დღე მოძრაობაში არის, რომ სისწორე შეინჩინოს და სიმძიმემ სითმე არ გადასძლიოს. ფეხზედ დგომა ძალიან უჭირდება; მეტისმეტად გასუქებული ძლივსღა ლაპარაკობს და ამასთან ისეთის მისუსტებულის ხმით, როგორც დიდი ხნის ავადმყოფი; ყველასაგან ღირს ამ განსაცვიფრელი ქალის ნახვა, მით უფრო, რომ ფასი ისე იაფია— სულ 30 კაპ. და ამისთანა სანახავი-კი კაცს ყოველთვის არ შეხვდება.

* * *

დ. სენაკიდამ გვწერენ:

„ვინ მოსთვლის, რამდენი უწესოება ხდება ამ ჩვენს მაზრაში! ამ ცუდ მოსავლიან წელიწადს, რაღა ცარცვა-გლეჯა ეჭირება საწყალ გლეხს მერე იმ პირებისაგან, რომელნიც მათთვის უნდა ზრუნავდნენ. მოგეხსენებათ, რომ გლეხი ვალდებულია განაწესში გადიოდეს გზებისა თუ სხვა რამეებს სამუშევრადა. აი რა ოინები ხდება აქ:

„გლეხი უნდა მუშობდეს წესისებრ ათი დღე, ამიტომაც იმას მიაქვს ხოლმე იმდენი საგძალი, რამდენიც ათ დღეს მოუნდება. მაგრამ, გაიხედავ, და ორი დღის შემდეგ გლეხი ისევ ბრუნდება სახლში! თავდგმური, რომელიც სანდო და სინიდისიერ პირად არის ნაცნობი ბ. მაზრის უფროსისაგან, ატოვებინებს გლეხებს დარჩენილ საგძალს და კიდევ კარგი, რომ მარტო ამას აჯერებდეს—თითო მანეთს მაინც ახდევინებს და ისე ისტუმრებს შინ. ასე ამ რიგად იწვევს ხოლმე ეს სინიდისიანი თავდგმური გლეხებს სხვა ყველა სოფლებიდამაც—და გზები-კი შეუკეთებელი და საბრალო მდგომარეობაში რჩება".

## „დროების" კორრესპონდენცია

ცხინვალი, 15 ოკტომბერს. თქვენს გაზეთში არა ერთჯერ იყო მოხსენებული, თუ რა შიშსა და შევიწროებაში ვიყავით ცხინვალის მცხოვრებნი ქურდებისა და ავაზაკებისაგან ამ უკანასკნელ დრომდის. ეხლა კი, ღვთით, მშვიდობიანობა ჩამოვარდა ცხინვალში, და ეს სამი ოთხი თვეა, რაც აქ შესანიშნავი ქურდობა და სხვა ცუდი საქმე აღარ მომხდარა.

ქურდობა კიდევ თავისთვის იყოს, მაგრამ ისე აშკარად ავაზაკობდნენ, რომ დღისით შედიოდნენ სახლებში და გამოჰქონდათ საცოდავი უპატრონო ხალხის სარჩო-საქონელი. ესე დაბრიყვებული ვიყავით ათი-თხუთმეტი გაუნამუსოებული და ზნე გაფუჭებული წუნკალა ბიჭებისაგან, რომ ღმერთს გადასდგომოდნენ და ცოლშვილი ვისმე გამოეყვანათ სახლიდგან, საყვედურის და წინაამდეგის მთქმელი არა ვინ ეყოლებოდათ. მოგროვდებოდნენ, ბატონო, ყველა ერთად, შევიდოდნენ ერთს რომელიმე

ვაგრძე კითხვა, მაგრამ ახალი ველარა ამოვიკითხე-რა; სულ ამასვე ვიმეორებდი; ერთ ჯერ და ათას ჯერ მესმოდა:

„გამომეღვიძა და გავფითრდი... გამახსენდა, რომ ზემოდ მოყვანილი სიტყვები ბარონ კორფს ეკუთვნოდა და იყო თქმული რუსულ სასწავლებლებზე და რუსის ახალ-გაზდებზე. მაშ მე ქართველმა რაღად ვნახე სიზმარში?! დასწყევლა ღმერთმა ჩვენი ეშმაკიმეთქი, ვთქვი და გადვიწერე პირჯვარი მარცხენა ხელით, რადგან მარჯვენას ზედ ვაწექი, და დავიძინე. მაგრამ რად გინდათ? ამისთანა უსიამოძილი, პეტერბურღმა რომ იცის, სხვაგან ძვირად სადმე იქნება.

„ამაღამ ათსაც ვნახავ სიზმარს და ყველასაც დავწერ, თუ კი მართლა რამედ „გამოადგება კაცობრიობას".

პეტერბურღი 000 წელსა.
პირველი მიძინილის დროს.

### სიზმარი მეორე

„ვნახე სიზმარი, იწერება საქართველოს ერთი კუთხიდგან ქვემორე ხელის-მომწერი, „ვითომც ჩვენებური" სასწავლებლების უფროსებსა და მასწავლებლებს სამაგალითო საქმე ექნათ: შეედგინათ ვრცელი „მოხსენება" და თავიანთ უფროსებთან წარედგინათ.

„უფროსებს ეს მათი სიტყვა ყურად-ეღოთ და ქართულ სასწავლებლების პროგრამმების შემმუშავებელ კომისიაში ერთად მეც მივეწვიეთ...

„გამომეღვიძა და ხელი ხელს შემრჩა და პირი—პირს!.."

უადგილო მასწავლებელი—ქართველი.

### სიზმარი მესამე.

„ღმერთო ჩემო, რა მჭევრ-მეტყველი ვყოფილვარ სიზმარში! წუხელი ჩემმა მჭევრ-მეტყველობამ დიდად დამაჯილდოვა:

„მესიზმრა, ვითომ უფროსი გვეწვია. როცა ყველა ქვეშევრდომებს მოგვეყარა თავი და ყველას სათითაოდ შესაფერი დარიგება მოგვცა, წამოვდგი მე წინ ფეხი და დავიწყე... მაგრამ სად შემიძლია ახლა, დავწერო ის, რაც მაშინ მოვახერხე!

„—თქვენო ხარისხოვნებავ-მეთქი! ჩვენ რო თქვენი ერთგული და თქვენთა ფერხთა მტვერისაც მათაყვანებელი გახლავართ, ამაში დარწმუნებით თქვენმა ხარისხოვნებამ უკვე გაგვაბედნიერეთ. სწორედ ამიტომაც ვბედავ მოგახსენოთ შემდეგი:

„სად გაგონილა და ვის მოსწრება, ვის თვალებს უნახავს და ვის გონებას წარმოუდგენია ამ სივრცე ჩვენს ქვეყანაში, რომ საზოგადოებას დაეწყოს სჯა სასწავლებლების პროგრამმის ავ-კარგიანობაზე?! როგორ თვალი და ყური არ დაგვიდგება, როგორ გონება არ გვიღალატებს ჩვენ, თქვენო ხარ., რომ ჩვენ თითონ ვართ მოწამე აქაურის საზოგადოების ეგ-ზომ გაკადნიერებისა!? რა უნდა იყოს ეს, თქვენო ხარ., თუ არ...თუ არ...თუ არ... (ცხადად მახსოვს, რომ „თუ არ" სამჯერ კიდევ გავიმეორე, მაგრამ მე უბადრუკს აღარ კი გამომყვა ცხადში, თუ რას ვამბობდი იმ „თუ არ"-ების შემდეგ).

„რაღა თქმა უნდა, თქვ. ხარ., რომ ჩვენ არ გავხდებით მოღალატეთა თანაზიარი, არც შევუშვებთ ყურში მოამბოხეთა ბუკის ცემას, მაგრამ ჩემის აზრით, თქვ. ხარ., ეგ კიდევ არ კმარა, რომ ჩვენ ყურები მაგრა დავიცოთ. თქვენ, თქვ. ხარ., უნდა გამოგლიჯოთ მეამბოხეთა ხელიდგან ბუკი! როგორ? რა ნაირად? რა გზით? რა კვალით?—ეგ თვითონ თქვენ იცით, თქვ. ხარ., მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მებუკე გახლავთ უადგილო მასწავლებელი—ქართველი".

„ეს რო ვთქვი, მაღლა-ციდან ტა-

...ტნოში, დასხდებოდნენ და ბე-
...ელ თითო კვირა და კიდევ მეტი
... სუფრა არ აიღებოდა. ჰყიდუ-
...ბდნენ ჩვენი სახლებიდგან გაზი-
... ნივთეულობის ნაფასურით რა-
... კი მოინებებდნენ და შეექცეოდ-
... ჩვენ კი გულ-სისხლიანი შევს-
...როდით მათ და ვამბობდით:—
... როდის იქნება გვეშველოს ამათ-
... მეთქი! ნაქურდალი რომ გამო-
...ოდათ, აღებდნენ სამ-ოთხ თუნ-
... ვევბერთელა სალვინეს-გოზაურს
...ან ვის მოგვაყენებდნენ კარს და
... ვის. იმ სალვინით, რასაკვირვე-
..., ღვინო და ღვინოსთან მისი პუ-
... საუზმეულობა უნდა მიგვერ-
... ვსთქვათ ღვინო და პური გვ-
...ოდა სახლში, საუზმეულობა ხომ
...ჯელ ბევრს არ შეესწრობა სა-
...; მაშინვე ბაზარს უნდა ვსცემო-
... და სად იყო-და-არა მათთვის გა-
...ელი უნდა გაგვეჩინა; წინააღმდეგ
...ხვევაში, ისინი შემოგვითვლიდ-

...—ხომ იცით ნავთი ძვირი არ
...; ერთი-ორი გირვანქა და თქვე-
...ანიო; თქვენს სახლ-კარს ერთს
... ჩირაღდნად ვაქცევთო“!

... გამგონეს შიშის ძრუანტელი
... ბრჩხილებამდის დაგვივლიდა და
...უვნებლივ შევასრულებდით ყო-
... მათს მოთხოვნილებას, თუ
... სავალოდაც გაგვხდომოდეს საქ-

... ამ ცეცხლსა და უბედურებაში
... ჩაცვივნული დღემდის და ჩვე-
...ტრონი კი არავინ იყო. მოგვე-
... ჩივილი და ხვეწნა, მაგრამ ყუ-
...რავინ გვათხოვა. ან კი ვინ იქ-
... ჩვენი პატრონი? ვინ მოიც-
... ჩვენთვის? მე თქვენ მოგახსე-
...ბ-ნი ნაჩალნიკი შეიდებდა თავს
...როგორც მაზრის უფროსი, დას-
... ჩვენთვის თავს და დაგვიხსნიდა
...ებისაგან!.. არც სხვა ჩინოვნი-
...ბერტყდნენ ყურს. მაგრამ ან კი
...ქმოდნენ? არც იმათ ეცალა
...თვის: ზოგნი ოჩხარს მართავდნენ

სოფლებში და აგროვებდნენ ჰირნახულს, ზოგს რა საქმე უჩნდებოდა და ზოგს რა, და ჩვენ კი ვიყავით ბედისწერის ანაბარას გაშვებული. სიტყვამ მოიტანა, თორემ ოჩხარი რა დასაძრახისია. მეტადრე იმ დროს, როდესაც ფუთი ჰირნახული ორ მანეთად, თორმეტ აბაზად ფასობდა და ერთი ორმოციოდ კოდი კიდევაც მოეგროვებია ვისმეს, რა დიდი საქმე იქნებოდა...

მაგრამ მაღლას! რაც იყო-იყო. ეხლა ხომ მშვიდობითა ვართ და არავინ გვაწუხებს. ამ მშვიდობიანობის მიზეზია ახლანდელი ცხინვალის მამასახლისი ბ-ნი შერმაზანოვი.

ვასილ შერმაზანოვი ვაჭართაგანი იყო, მაგრამ მამასახლისობის თანამდებობის მიღებისათანავე მიანება თავი კერძო საქმეებს და შეუდგა გულმხურვალედ იმ მძიმე მოვალეობის კეთილ-სინიდისიანად აღსრულებას. სამსახურის მიღებისთანავე მიაქცია მან ყურადღება უმთავრეს ჩვენს საჭიროებას: მშვიდობიანობას. დაიქირავა შვიდი თოფ-იარაღით გამართული, შესახედავადაც შესაზარი ვაჟკაცი და მიანდო მათ ქურდებისა და ავაზაკების დევნა. ის არის იმ დღეს აქეთ აღარა დაგვკარგვია-რა. როგორც ჰაერში ორბი ღრიალებდეს, ისე დაგვტრიალებენ თავს ეს ყარაულები დღე-და-ღამე და ჩვენს კარს ციცს ნიავსაც აღარ უშვებენ.

ამას გარდა ბ-ნმა შერმაზანოვმა მისცა სხვა-და-სხვა შემწეობა ადგილობრივ სასწავლებელს, ქუჩებისა და ეზო გარემოების სისუფთავეს მიაქცია ჯეროვანი ყურადღება, გზები და ბოგირები დააკეთა, ეხლა სასწორისა და ფარნების საქმეს არის შემდგარი და სხვა...

სულითა და გულით ვისურვებთ, რომ ბევრგან იქნენ ამისთანა მამასახლისები ჩვენს საქართველოს სოფლებში, როგორიც დღეს ჩვენში ბატონი შერმაზანოვია.

ს—კო ღორასპიშვილი.

# თეატრი

## ქართული წარმოდგენა 20 ოქტომბ.

წარსულს ოთხშაბათს აბონომენტის რიცხვში ქართული დრამატიული დასისაგან იყო წამოდგენილი 3 მოქ. დრამა **„ოჯახის ასული“** თხზ. გ. წერეთლისა და, პირველად, ვოდევილი **„ოინბაზი“** ავ. ცაგარლისა.

ეს დრამა ჩვენს სცენაზედ უწინაც დადგმულა, მაგრამ ისევე უფერულად ჩაუვლია, როგორც ამ უკანასკნელ წარმოდგენაზედ. მაშინ ჩვენმა გაზეთმა წარმოსთქვა ამაზედ თავის აზრი და ეხლა იმ აზრზედ დასამატებელი არა გვაქვს-რა. პიესა არ შეცვლილა, არ გასწორებულა და მაშასადამე დარჩენილა ისევ იმ ნაკუწებიდგან შეკერილი, რომელთ გამოჭრასაც ავტორი არ დაჰკვირვებია, თუ არ შესძლებია; ამისთვისაც ნაკუწები, ნაგლეჯები გადახლართული და მიბლანდული მსხვილის მახათით რაღაცა დაძონძილს, დაჭრელებულს და უთავბოლო საგანს წარმოადგენს.

აქ თქვენა ნახავთ რაღაცა დამახინჯებულს გულ-გაქვავებულს ქალს, რომელიც მზითვის გულისთვის, მთელს ოჯახობას ურევს და მშობლებს ცეცხლს უკიდებს, ნახამთ მეფე ლირის მსგავსს მამას, რომელიც იტანჯება ქალისაგან და გასალახნებულის შვილისაგან (აფიცერი) რომელსაც სახელმწიფო ფული შეუჭამია და გაუსაღდათებიათ. ნახავთ ზოგოლის რევიზორიდგან გამოგლეჯილს ფოჩტის ჩინოვნიკს, ნახავთ ქართველ თავადის-შვილს, რომელიც მხოლოდ იმისთვის არის გამოყვანილი, რომ ქართული ჩაცმა აჩვენოს ქართველებს; ნახავთ ქართველ დედაკაცს, დედას, რომელიც ცდილობს თავის ქალის მზითვის მიცემის დროს ... ყუებას; მთელს ოჯახობაში ერთი პირი არ იპოვება, რომელსაც წრფელის გულით შებრალდეს დედმამა უბედურებაში და თვით ორი იმათი ქალიც, რომლებიც გამოპრანჭულნი მოდიან და რაღასაცა ლუღლუღებენ, უფრო თვალთმაქცობით იქცევიან, ვინემ გულწრფელად.

წარმოიდგინე, მკითხველო, ამდენი სისაძაგლე, მოგროვილი ერთს ოჯახში და ისიც ქართველს ოჯახში!

ეს პიესა მხოლოდ ქ. ყიფიანისთვის არის დაწერილი, რათა გვიჩვენოს თავისი ძალა და დრამატიული ნიჭი. მაგრამ მეტად შესაბრალია, როცა არტისტის ხელოვნური თამაში ისეთს პიესაში ილევა, როგორიც **„ოჯახის ასულია“**.

ბაბუნია, საფაროვი, აბაშიძე ყველანი წესიერად, და ჩვეულებისამებრ ხელოვნურად თამაშობდნენ, მაგრამ ვერც იმათმა მეცადინეობამ და ნიჭმა უშველა პიესას.

ბ. ლომიძე უფრო პრიკასჩიკსა ჰგვანდა, ვინემ განათლებულს სასიძოს. ამას გარდა ტუჩებზედ იმოდენი სალებავი წაესვა, რომ სწითლის მაგიერად გალურჯებოდა და ამისთვის პირდაღებულსავით მოჩანდა. ამ არტისტს ჯერ ბევრი შრომა უნდა, სანამ სცენას და მიხრა-მოხრას შეეჩვევა.

ბ. ჯორჯაძე ჩქარ სალაპარაკო როლში არ იყო თავის ღირსების სიმაღლეზედ. ამ არტისტს ურჩევთ ერთი თავის დაკვრით გაათავოს ხოლმე, როდესაც მეორე არტისტ ელაპარაკება; თორემ მომეტებული თავის ქნევა ცუდს შთაბეჭდილებას ახდენს. არც ის იქნებოდა ცუდი, რომ ხმის გამოცვლა ესწავლა და თავიდგან ბოლომ-

...ყურა მოისმა, უფროსი კი მომ-
... და ტუჩებში მაკოცა...
...ოცნაზე გამომეღვიძა და... სანუ-
...ლოდ მარტო ის დამრჩა, რომ
... სიზმარი როდი ტყუა...“
...ჩვენებური სასწავლებლის უფროსი.

...ერთო ჩემო! რა ყოფილა სტა-
...ა! ზადამიწყვეტია მე ერთხელ
...უკანასკნელად, რომ იგი უნდა
...ლოს მეცნიერებათა მეცნიერე-
... სიბრძნეთა სიბრძნედ!. ამდენ
... როგორ მეგონებოდა, თუ ერთსა
...მავე დღესა და რიცხვსა, ერთსა
...მავე მიძინილზე, სხვა-და-სხვა ად-
..., სხვა-და-სხვა პირებს კი არა,
...ა-სხვა რჯულის კაცებსაც კი
... და იგივე სიზმარი დაესიზმრე-
...თ?! მაგრამ სიზმრების სტატის-
... დამარწმუნა, რომ ეს ადვილად
...ლებელი ყოფილა.
...ეს დილას მივიღე ოთხი სიზმა-
...ერთი საჯაოხოდან, ერთიც კი-

დე მახლობელი ადგილიდან და ორი ქულაშიდან, და ოთხივე ერთისა და იმავე შინაარსის არის! ქულაშიდან იქაური ურიები იწერებიან, სხვაგნიდან კი ქართველები, ქრისტიანები.

საწყალი ურიები! მათი ახალი ისტორია ნახევრობით სიზმრებიდან არის შემდგარი, ამიტომაც მათ ერთობ შინებიათ ცუდი სიზმრებისა. ურიები თითონვე მოვიდნენ თავიანთის სიზმრების გადმოსაცემად, რადგან ფოჩტისთვის ვერ უნდვიათ.

შესანიშნავია წინასიტყვაობა, რომლითაც დაიწყეს მათ თავიანთი სიზმრები. იგინი გულის სიმწარით და ცრემლების ღვრით წყევლიან იმ პირობებს, რომელთაც გაამრავლეს ჩვენში ავაზაკები და ყაჩაღები; იეგოვის რისხვასა და ლახვარს უგზავნიან იმ პირობათა დამთესთ და, მგონია, მათი იეგოვის რისხვა ჩვენებურ სასწავლებლებსაც არ აშორდეს, თუ ამ ურიების შეისმინა მათმა იეგოვამ და ჩვენმა ღმერთმა.

საქმე იმაშია, რომ თურმე მეტეხიდან გაქცეული მათებური ყაჩაღი ზ. მ—ძე ყოველ ღამეს ეცხადებათ მათ და სიკვდილს ექადის, თუ ორ-ორ ათას მანეთს არ მისცემენ! ერთხელ თურმე დღეც მოლანდებიათ. წვერი და ულვაში წითლად შეუღებავსო და სხვ.

კიკო.

ქ. ქვათავისი.
ამ წელსა და ამ თვესა, დღით ქქსშაბათსა.

### ადამიანს

რომ დაგადარო მთლად ქვეყანასა,
მის წინ უჩინარს მტვერს ემსგავსები;
მაგრამ გონებით, მოქმედებითა,
ყოველსა არსსა გარდაედრები.

—

ფიქრით, გონებით მთელსა ბუნებას
იკვლევ, აბრუნებ შენსა ნებისას;
ყოველი თითქმის შენა გმორჩილებს
და შენს ბრძანებას მრწუნვით ასრულებს.

—

მხოლოდ სიკვდილი ქედ-მოუდრეკლად
დგას შენ წინაშე, არ გემონება;
თვით გირღვევს სხეულს, გისპობს სიცოცხლეს
და თვითმეფესაცმისად გიმონებს.

—

მაგრამ შენს ფიქრსა, ღვაწლსა დიდებულს
მის მძლიერება ვერ დაიმონებს;
აზრსა და საქმეს შენგან დაკვლეულს
შენივე მგზავსი მარად განაგრძებს!...

დ. ჩოლოყაშვილი.

ლალის-ყური.

დონ მოსაწყენის ერთის ხმით არ ელაპარაკა.

„ოინბაზი“, რუსულიდგან გადმოკეთებული ვოდევილი, ა. ცაგარელს ჩვეულებრივად ვერ მოსვლია. ამ პიესა დაშორებით დაბლა სდგას იმისვე ვოდევილზე „ბაყუში“. რა ლაპარაკი უნდა, რომ ამაშიდე პრიკაზჩიკის როლში ხალხს აცინებდა, მ. საფაროვი, სადაც კი შეხვედებოდა საშუალ ება, რომ პიესისთვის ეშველა, რიგიანად თამაშობდა, მაგრამ პიესას ვერა უშველეს რა. ნ. ჯორჯაძემ აქაც სამწუხაროდ ყმაწვილი კაცის როლი და ჩქარი სალაპარაკო შეხედა.

დრო არის ჩვენმა დრამატიულმა დასმა უკეთესი პიესები დაზდგას, თუ ამისთვის საშუალება არის რამე, რადგანაც თითონვე შეხვია საზოგადოებას უკეთეს.

Z.

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარედგვიმი და დისიცეში—შინაგან ავადმყოფობისას; კედლიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისას; ბასუტოვი—შებიათბის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისას; ბაბავევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისას; დისიცეში—შინაგან ავადმყოფობისას; კედლიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისას; ბასუტოვი—შებიათბის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისას; ბაბავევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** დისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისას; კედლიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისას; ბასუტოვი—შებიათბის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისას; ბაბავევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** დისიცევი—შინაგან ავათმყოფობისას; კედლიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისას; ბასუტოვი—შებიათბის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისას; ბაბავევი—ძარღვების ავათმყოფობისას.

**პარასკევს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისას; დისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისას; კედლიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისას; ბასუტოვი—შებიათბის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისას; ბაბავევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** დისიცევი—შინაგან ავათმყოფობისას; კედლიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისას; ბასუტოვი—შებიათბის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისას; ბაბავევი—ძარღვ. ს სუსტის ავათმყოფობისას.

## განცხადებანი

ტფილისის სამხედრო გიმნაზიის კურს დასრულებული ამხადებს ყმაწვილებს ამავე გიმნაზიისათვის, ქალების გიმნაზიისთვის და რეალური და იუნკრის სასწავლებლისათვის.

ადრესი ძამეთის ეკლესიის ეზო-ში.—ილია შლენტი. (1—1)

„გამასესხებელი კასსა გ. ი. ბარამოვისა და კამპ“.

ქ. ქუთაისში.

აცხადებს, რომ 5-ს და 12-ს ნოემბერს ამ წლის დილის ათ საათიდგან, ამ კასსის წინ გაისყიდება აუქციონით ის გირაოები, რომელიც არ არის დასხნილი შემდეგ ორის ლგოტისათვის, ე. ი. ოქროსი, ვერცხლისა და სხვა ნივთები. (5—1).

ქალაქის

# გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 28-ს ამა ოქტომბერს დანიშნულია ის ვაჭრობა, რომელიც 21 არ მოხდა, იჯარით გაცემაზედ შემდეგ საგანთა: 1) საქალაქო სასწორებიდან გადასახადი, 2) ავლაბრის დაჩა გაჯის ამოსაღებად—ზომით 237½ დესეტ. მსურველთ ვაჭრობისა შეუძლიანთ დაწვრილებითი პირობანი მუდამ დღე 2 საათ. ნაშუადღევისა, შეიტყონ ქალაქის გამგეობაში. (3—1)

ინგლისის

# მაღაზია

*Maison de confiance*

| | | |
|---|---|---|
| შეაბრეთ წვენი ნაი—1 მ. 10 კ. | მოსკოვის ნაის—1 მ. 40 კ. | |
| — — —1—20 | — —1—60 | |
| — — —1—40 | — —1—80 | |
| — — —1—60 | — —2— „ | |
| — — —1—80 | — —2—50 | |
| საუკეთესო—2— „ | — —3— „ | |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალესები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—4)

კოპიტნარის სტანციაში ისყიდება ორასი საჟენი რცხილის შეშა კუთვნილი აზნაურთ მამუჩარ და ილიკო ლორთქიფანიძეებისადმი.

მსურველთ შეუძლიათ მობრძანდენ კოპიტნარში იყიდონ ერთობით ანუ ნაწილ-ნაწილად და ფასი შეშის ჰკითხონ იქვე მოვაჭრე მბრემიძეს. (1—1)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

# სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

ახალი ქართული

# კარაბადინი

ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი უდიანის ერთი მანეთი.

საწერი

# დედანი

შედგენილი და გამოცემული პეტ. უმიკაშვილისაგან. ტფილისი 1878 წ.

ფასი სამი კაპეიკი

საწერის ქაღალდისა მოთხელ თაბახზედ, შეიცავს ხუთს სავარჯიშო მაგალითს: 1) ანბანის დედანს მრგვალის ხელისას; 2, მაგალითს მრგვალის ხელით წიგნიდამ გადმოწერისას; 3) ანბანის დედანს გაბმულის ხელისას; 4) დედანს (იგივეა მაგალითი) გაბმულის ხელით გადმოწერისათვის; 5) უმთავრესს საჭირო მაგალითებს ასოების ერთმანერთთან გადაბმისას.

ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში კუკიის ხიდთან და ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში, ოკრუჟნოი სუდის ქვეშ.

ასის და მეტის ეგზემპლ. მსურველს შეუძლია შემდგენელისაგან დაიბაროს და გასაგზავნი ხარჯი არ დასჭირდება.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## დედა და შვილი

და

## რამდენიმე ლექსი

თ. ილიას ჭავჭავაძისა.

ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული

ფასი 15 კაპ.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

# მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება ტფილისში: შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

გორში: მ. კერესელიძესთან.

დაიბექდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში:

## თამარ დედოფალი

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

დაიბექდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

# ეროვა

თხზ. ნ. ნიკოლაძისა

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი 15 კაპ

## ტაქსია

**საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 ოკტომბრიდამ 15 ოკტომბრამდის.**

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| მესამის „ | —1 გირ. | — |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4½ |
| ჯვარის-მამის პური: | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 8 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 8 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — კ. |

## ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**ბუნების კარი,** ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ...ფდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი,** მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Октября 1882 г.* *Типографія Меликова* ზამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი